№ 23 30 იანვარი, სამშაბათი 1866—1879 30 იანვარი, სამშაბათი № 23

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ. ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 28 იანვარს. სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ ლობანოვ-როსტოვსკის, კარათეოდორი-ფაშასა და ალი-ფაშას მოუწერიათ ხელი რუსეთსა და ოსმალეთს საბოლოვო მორიგების პირობაზედ.

რუსის ჯარები ხვალ დაიწყებენ ბოლგარიიდამ დაბრუნებას რუსეთში და 35 დღის განმავალობაში სულ დაბრუნდებიან.

გუშინ ოსმალებმა ქალაქი პოდგორიცა დაუთმეს ჩერნოგორიელებს.

ვენა, 27 იანვარს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ, ახალი მორიგების პირობის ძალით, ოსმალეთი ვალდებულია გარდაუხადოს რუსეთს ყველა ხარჯი, რომელიც ოსმალოს ტყვეებზე გასვლია ბერლინის ტრაქტატის შეკვრამდინ.

ტაშკენტი, 27 იანვარს. ავათმყოფობისა გამო შირ-ალი ველარ მიდის პეტერბურღში, მაზრი-შერიფში რჩება; პეტერბურღში კი საპატიო პირებს (გზავნის. იაკუბ-ხანი იწერება! რომ მთიულები ძალიან აწუხებენ ინგლისის ჯარს აელან-შიო ღენერალი რაზგონოვი თავის თანაშემწეობით 22 იანვარს გარდაივიდა ამუდარიაში; ავათმყოფ ემირთან თავის ექიმი დასტოვა.

საქართველო

ახალი ქალაქის თავი

მადლობა ღმერთს, როგორც იყო ვეღირსეთ! ახალი თავი გვყავს, და ეს თავი გახლავთ —უფ. ანტონ სოლომონის ძე ყორღანოვი.

ორიოდე სიტყვა იმაზე—თუ როგორ მოხდა გუშინწინ, კვირას, ამ თავის ამორჩევა და კენჭის-ყრა:

ქალაქის რჩევის კრება მეთორმეტე საათის ნახევარზედ გაიხსნა. სულ 64 ხმოვანი დაესწრო კრებაზედ.

რადგან კენჭის-ყრა, ქალაქის თავის ამოსარჩევად, იმავე წესით უნდა მომხდარიყო, როგორც წარსულ კვირას მოხდა, ამის გამო თავსმჯდომარემ უფ. დ. ი. ყიფიანმა წინადადება მისცა კრებას, რომ თითოეულ ხმოვანს ჩაეწერა ცალკე ქაღალდზე—თუ ვინ ჰსურს იმას ქალაქის თავად და ვის უნდა უყარონ კენჭი.

მომეტებულ ნაწილს ხმოვანებისას ანტონ ყორღანოვი ადვათ ენ[illegible]. აღმოჩნდა, რომ წინა დღეს, შაბათს, ორმოციოდე ხმოვანი შეკრებილან, აუწონიათ, დაუწონიათ, ურჩევიათ, ულაპარაკნიათ და ბოლოს მომეტებული ამათგანი დათანხმებულან, რომ ანტ. ყორღანოვი ამოარჩიონ.

ეს გადაწყვეტილება ცხადათ დამტკიცდა, როდესაც დათვალეს ბილეთები, რომელზედაც კანდიდატები იყვნენ დაწერილნი: ანტონ ყორღანოვს ამოუვიდა—35 ხმა, თ. კ. ა. ბებუთოვს—4, არ. ალ. თამამშოვს—4, ლ. კ. ელიმირზოვს—3, ნ. დ. ზუბალოვს—2, დანარჩენთ: მ. ი. დოლუხანოვს, ა. თ. ფრიდონოვს, სპიროვს, მ. ი. ალიხანოვს, ტ. ა. ხოჯამინასოვს და ნ. ნიკოლაძეს—თითო ხმა.

ამ ბილეთების წაკითხვის შემდეგ ყველა კანდიდატებმა უარი განაცხადეს კენჭის-ყრაზე, გარდა ანტონ ყორღანოვის (რომელიც სხდომას არ დასწრებია) და კ. ა. ბებუთოვისა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ანტ. ყორღანოვი გაიმარჯვებდა.

სანამ კენჭის-ყრას შეუდგებოდნენ, ხმოვანმა უფ. ნ. ნიკოლაძემ სთხოვა თავს-მჯდომარეს სიტყვის უფლება და შემდეგი აზრი გამოსთქვა (სიტყვა-სიტყვით არ მოგვყავს):

— ყველაზე პირველად უნდა მოვახ-

ფელეტონი

მზრუნველებს

მამის სული გაუშვიათ,
პაპისას კი იგონებენ;
დედას დედინაცვალზედა
სცვლიან და თავს იწონებენ!

—

ნუ თუ შინ ვერ მოუნახავსთ
ვერც ცოცხალი ვერცა მკვდარი
ღირსი მათის ყურადღების,
სახსოვი და საქებარი?

—

მაგრამ ამ ჩვენს სნეულ დროში,
როცა მეფობს ანგარიში,
რომელსაც ჰყავს დიდ-ვეზირათ
ორგულობა, ანუ შიში,

—

ვის რათ უკვირს, რომ მშობელი
მის ნაშობსა თვითვე ჰყიდის...
რომ შობილი თვის მშობლისვე
მოსაკლავად მარჯვედ მიდის?!...

—

ხა! ხა! ხა! ხა! ქების ტაში
დაჰკათ!... ბუქნაც დაუარეთ!...
შინაურებს შიმშილით ჰკლენ.
მდიდრებს უდგმენ ტაბლას გარეთ!.

აკაკი

მწერლობა

ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან. გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან. თფილისი, 1879.

(გაგრძელება)

—

მეორე სტატია „ალმანახისა“ შარშანდელ „ეკონომიური სურათების“ გაგრძელებაა, რომელიც შედგენილია თავ. ვასილჩიკოვის წიგნიდამ „მიწის მფლობელობა და მეურნეობა ევროპაში და რუსეთში“. წლევანდელი თავ. გ. თუმანიშვილის სტატია რუსეთს შეეხება.

შარშანდელ „ალმანახის“ სტატია გვაუწყებს, რომ ევროპის სახელმწიფოებში მიწა არ არის თანასწორათ გაყოფილი მცხოვრებთა შორის, ამისგან წარმოსდინდება, ავტორის ფიქრით, მდაბიო ხალხის სიღარიბე და ეკონომიური უწესოება. მიწის ქონების უთანასწორობა წარმოსდგება მდიდრების და შემძლებელების მანქანებისაგან. ვითომც ევროპის ქვეყნებში ხალხი ორ ნაწილათ იყოს გაყოფილი: ერთი (უმცირესობა) ხალხის მაცთური და მაშასადამე მდიდარი და ქონებიანი, და მეორე მოტყუებული—ღარიბი. პირველთ ხელთ უჭირავთ მეორენი და გამოსტყუებენ მათი შრომის ნაყოფსა, ჭირნახულსა, და ღარიბს ხალხს კი არ შეუძლიან თავიდამ მოიშოროს ეს წურბელა, თუმცა თავისუფლებაც აქვს. ეს არის ევროპის ხალხის სიღარიბის მიზეზი.

რუსეთში ყველა გლეხს თავისი მიწა აქვს და მაშ სიღარიბეც არ უნდა იყოს, მაგრამ მკითხველმა კარგათ იცის, რომ იქ გლეხობის სიღატაკე უარესია, ვინამც ევროპაში. ესიმიტომ წარმოსდგება რომ გლეხის მიწა სახელმწიფო ხარჯით არის დატვირთული; სახელმწიფო ხარჯი, ერო-

სენოთ, რომ წარსულ სხდომაზე უ. ა. ს. ყორღანოვმა საზოგადოთ გამოაცხადა, რომ იმას არა ჰსურს კენჭის-ყრა; თუ მას შემდეგ იმან თავის უარი უკან წაიღო და ახლა თანახმაა, ვინმე ხმოვანმა უნდა გამოაცხადოს ეს იმის მაგიერ და იმის მინდობილობით...

ამ დროს წამოდგა უფ. ფრიდონოვი და დაიძახა:

— ყორღანოვი თანახმაა კენჭი იყაროს!

— მოგანდოთ თქვენ იმან, რომ გამოაცხადოთ ეს აქ? მიაყვირა ერთად რამდენიმე ხმამ.

უფ. ფრიდონოვი ცოტა არ იყოს შეკრთა. ცხადი იყო, რომ იმას უფ. ყორღანოვისაგან არაფერი მინდობილება არ ჰქონია. რამდენიმე მხრიდამ დაიძახეს: „თანახმაა! თანახმაა იყაროს კენჭი!“ ბოლოს ფრიდონოვი ძალა-უნებურად წამოდგა და სთქვა, რომ ყორღანოვმა მომანდოვო, რომ გამოგეცხადოთ იმის თანხმობაო.

ამის შემდეგ უფ. ნიკოლაძემ ასე განაგრძო თავის სიტყვა:

—მე მინდა საზოგადოთ ამორჩევაზე ვსთქვა რამდენიმე სიტყვა. პირადათ არავის არ შევეხები, საზოგადოთ ვიტყვი როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, როდესაც რომელსამე პირს ვირჩევთ საზოგადო სამსახურსათვის და მომიტევეთ, თუ ზოგიერთი მკვახე სიტყვები წამცდეს... ყველამ ვიცით, რომ ახლა დრო შეიცვალა; ძველი დრო აღარ არის. ახლა ცოტ-ცოტათი შესაძლებელია გამოაშკარავდეს ზოგიერთი არ-სანაქებო და მრუდე საქმეები. ვხედავთ ხშირად, რომ მთავრობა გამოძიებას ნიშნავს და ეს გამოძიება ზოგიერთ პოდრიადჩიკების ოინებს გამოაშკარავებს ხოლმე... როგორც მოგეწონებათ თქვენ, რა სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავიხედოთ და ვნახოთ, რომ ჩვენგან ამორჩეული პირი, ჩვენი წარმომადგენელი წამოაბრძანონ სასამართლოში ორ ჟანდარმებ შუა იმისთანა ბოროტ-მოქმედებისათვის, ვთქვათ, როგორც ხშირად სჩადიან ხოლმე პოდრიადჩიკები და მეიჯარადრები!?... რა პირით უნდა გამოუჩნდეთ მაშინ ქვეყანაში? რას იტყვიან ჩვენზე?...

ეს იყო საზოგადო აზრი უფ. ნიკოლაძის აღელვებულის ხმით ნათქვამის სიტყვისა. ჯერ იმას არც კი მოესწრო თავის ადგილზე დაჯდება, წამოდგა უფ. ხმოვანი ევანგულოვი და სთქვა, რომ ეს უფ. ნიკოლაძის სიტყვები შეურაცხყოფა არის მთელის კრებისაო და ამიტომ თავსმჯდომარეს ვთხოვთ, უკან წაალებინოს იმას თავისი სიტყვებიო.

კრებაში შეიქნა საშინელი ხმაურობა განსაკუთრებით მარჯვენით, საითკენაც სხედან მსხვილ-მსხვილი ვაჭრები და პოდრიადჩიკები. „ბრავა ევანგულოვ; ბრავა! უკან წაიღოს! უკან წაიღოს!“ ეტყობოდა, რომ კრება საშინლად გაბრაზებული იყო.

თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ იმას უადგილოდ მიაჩნია ახლა ყოველი ამგვარი ბაასი და კენჭის-ყრას შეუდგეთო.

კენჭის-ყრის დაწყებამდინ უფ. ვ. ა. იზმაილოვმა გამოაცხადა, რომ რადგან თ. კ. ა. ბებუთოვი ჩემგან წარმოდგენილი კანდიდატი არის, ამის გამო ნება მომეცით, რომ უკანვე წავიღო ეს კანდიდატურაო, აღარ მსურს იმას კენჭი უყაროთო.

დაიწყეს კენჭის-ყრა. პირველი საათია ნახევარზე თავსმჯდომარემ გამოაცხადა შედეგი კენჭის-ყრისა.

ა. ს. ყორღანოვს მოუვიდა 47 თეთრი კენჭი და 17 შავი და ამნაირად იქმნა თფილისის ქალაქის თავად ამორჩეული.

საუბედუროთ (უფ. ნიკოლაძის), ჩვენ ამ უკანასკნელ დროს ძალიან ხშირად არ მოგვწონს უფ. ნიკოლაძის სიტყვა და მოქმედება. მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ ამ უკანასკნელმა სიტყვამ კი თითქმის სრულიად დაგვაკმაყოფილა და ის სიტყვა რომ ერთობ მკვახე არ ყოფილიყო, ცუდათ სხვა კილოზე ეთქვა, უეჭველია, იმას კრებაზე გავლენა ექნებოდა. ამბობენ, უფ. ნიკოლაძის სიტყვას რო არ გაებრაზებინა კრება, შეიძლებოდა ან. ყორღანოვი არც კი ამოერჩიათო. ჩვენ არ გვჯერა ეს; იქნება ერთმა-ორმა ითაკალა ის სიტყვები და გამჯავრებულმა თეთრი ჩაუგდო; მაგრამ ამ ურთოთაც იმას საკმაო თეთრი კენჭი ამოუვიდოდა. მართალია, უფ. ნიკოლაძემ გააბრაზა კრება, გააბრაზა ისრე, რომ დღეის შემდეგ, იმან რომ სთქვას: დღე ნათელია და ღამე ბნელიო, უეჭველია, ჩვენი ხმოვანების უმრავლესობა გაცხარებით წამოხტება ზეზე და ერთ-ხმად დაიძახებს: „—უფ. ნიკოლაძემ სთქა, დღე ნათელია და ღამე ბნელიო! ჩვენი აზრი კი ეს არის, რომ დღე ბნელია და ღამე ნათელი!“ და თუ კენჭის-ყრაზე მივარდა საქმე, დარწმუნებული ვარ, უფ. ნიკოლაძის აზრს გააშავებენ! ეს მართალია და ამიტომაც ჩვენ ურჩევთ უფ. ნიკოლაძეს, რომ დღეის შემდეგ, თუ რამე აზრი თუ წინადადება ექნება წარსადგენი ჩვენი კრებისათვის, სრულებით წინააღმდეგ სთქვას იმისი, რაც უნდა; კრება არ მიიღებს, და ამგვარად იმის წინადადება და სურვილი შესრულებული იქნება!..

მაგრამ რაც უნდა იყოს, ამისთანა მკვახე სიტყვა ამისთანა ხალხისათვის ხანდისხან კარგია, გამაფხიზლებელია.. დაე, შეიტყონ-თუ ვინ არიან და ვის ირჩევენ...

ს. მ.

ბისა (ფოჩტის ფული) და სხვა თითქმის უდრის და ზოგჯერ გადააჭარბებს კიდეცა მიწის შემოსავალს, ასე რომ გლეხს შემოსავლიდამ თითქმის არაფერი არა რჩება-რა.

აი ეს არის, ჩემის აზრით, თავ. გ. თუმანიშვილის სტატიის შინაარსი.

მე ვერ გავარჩევ აქ დაწვრილებით თითო-თითოთ ყველა აზრებს, ფაქტებს და რიცხვებს, რომელნიც სტატიაში მოხსენებულნი არიან; ვერც გამოვაჩენ ყველა შეცდომებს, რომელნიც ავტორს მოუვიდა, ვგონებ უფრო იმიტომ რომ თვით იდეით მიზიდული და აღტაცებული ვერ შეამჩნია და თვალი არ ადევნა *); მე მინდა მხოლოდ ვილაპარაკო შესახებ იმ დედა-აზრისა, რომელიც თუმცა პირ-და-პირ არ არის სტატიაში გამოთქმული, მაგრამ ყოველ სტრიქონში სჩანს და ნაწერის საძირკველს შეადგენს,—ვითომც მხოლოდ მიწა არის სიმდიდრე, ვითომც ვისაც მიწა არა აქვს, ის ღარიბია.

რასაკვირველია, მიწა უმკვიდრესი და უძრავესი ქონებაა, რომელსაც ვერც ჟამი შესცვლის, ვერც თაგვი შესჭამს და ვერც ქურდი მოიპარავს. ეს არის ჩვენი სიცოცხლის წყარო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მარტო მიწა არ არის სიმდიდრე, ამაზე უ[illegible]რესი და დაუშრეტელი ცხოვრების წყარო ხელოსნობაა. ხალხის სიმდიდრეში ხელოსნობას უმეტესი წილი შემოაქვს, ვინემც მიწის შემუშავებას და რაც უფრო წინ მიდის ქვეყნის კეთილდღეობა და განათლება, ეს წილი თანდა-თან მატულობს, მიწის ჭირნახული კი თითქმის ყოველ წელს ერთია. თუგინდ მიწა თანასწორათ იყოს გაყოფილი მცხოვრებთ შორის, ხალხი მაინც თავიდამ ვერ მოიშორებს სიღარიბეს, თუ ხელოსნობა არ მიეშველება. თვით მიწის ჭირნახული უთუოთ იკლებს, მიწის დაღალვის გამო, თუ ხელოსნობა ე. ი. წყლის გაყვანა, გონიერი მეურნეობა, მაშინები და სხვა აქ არ დაეხმარება. ამას ცხადათ ვხედავთ რუსეთში და საქართველოშიაც. გარდა ამისა იმ ქვეყნებში, სადაც მიწა უმთავრესს სიმდიდრეს შეადგენს, ეს უეჭველათ სახელმწიფო ხარჯით იქნება დატვირთული, თორემ სახელმწიფოს სხვა რა შემოსავალი აქვს, თუ არ ხალხის ქონებიდამ?

ერთის სიტყვით, ის ქვეყანა, რომლის მცხოვრებნი მხოლოდ მიწის მუშანი არიან, არა თუ ღარიბი, უბედური ქვეყანა იქნებოდა. მე სრულებით არ მინდა ვსთქვა, რომ ამისთანა ქვეყანა ენატრებოდეს თავ. გ. თუმანიშვილს, მაგრამ იმის სტატიიდამ ამგვარი აზრის გამოყვანა ძრიელ შესაძლისია. პირ-იქით თვით ავტორი იძულებულია გამოტყდეს, რომ მიწის თანასწორათ გაწილადება ღარიბ ხალხს შორის მარტო დროებითი შემწეობაა და სიღარიბეს მაინც არ მოსპობს. რატომ არა?—ამის მიზეზს თავ. გ. თუმანიშვილი თითქმის არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს.

„ეკონომიურ სურათების“ ავტორს

*) მაინც ერთს შეცდომის მაგალითს მოვიხსენიებ: „ინგლისში, ამბობს თავ. გ. თუმანიშვილი, მთელი სახელმწიფო უჭირავს მხოლოდ 200,000-მდი კაცს და დანარჩენი 25 მილიონზე მეტი ინგლისელი თითქმის გლახათ ითვლება“. (იხილე 150 გვერდი).

რუსეთი

პეტერბურღი 30 დეკემბერს. („დროების“ კორრესპონდენცია*) უნდა გახსოვდესთ, რომ მარტო მედიკური აკადემიის სტუდენტები, აფიციალურის ცნობით, დატუსაღებულნი იყვნენ ას-სამოცამდის. შემდეგში გამოვიდა გამოცხადება, რომ ეს სტუდენტები ას-სამოცამდის გაანთავისუფლესო; დანარჩენები ზოგი თავიანთ მშობლებთან გაგზანეს მადლობა ღმერთს, რომ ამ ჟამათ ჩვენებურებს არავის მოსდვეს ფხა; ერთი სომეხი მოჰყვა ბადეში, შეცდომით, ისიც მაშინვე გაანთავისუფლეს.

ამას წინეთ ვიყავი მედიკო-ხირურგიული აკადემიის სამკურნალოში გამოჩენილი პროფესსორი-ექიმის ბოტკინის სანახავათ. გაზეთების ცნობით, ის კვირაში ორჯელ ღებულობს ავათმყოფებს. სხვათაშორის, სამკურნალოში მოვიდა ერთი ახალგაზდა მშვენიერი სახის კოხტათ ჩაცმული ქალი—ექიმი; ეს ქალი—ექიმი ქალების შიგნეულ ავადმყოფობას სწამლობს და ძრიელ ემადრიელებოდნენ მისი ავადმყოფები; ძვირათ რომ პროფესორმა ბოტკინმა ამის დაწერილი რეცეპტი შეცვალოსო. ადვილი კი არ გეგონოსთ სამკურნალოში აქიმის მიღება; თავის საექიმო დიპლომის გარდა აქიმისთვის საჭიროა არის სპეციალური ეგზამენის დაჭერა იმ საგნისა, რომელ ავადმყოფობისაც გამკურნალობას აპირებს და მაშინ მიიღებენ. ეს ექიმი ქალიც ამ საექიმო ცეცხლსა და წყალ შუა არის გაელილი და შემდეგ არის მითვისებული.

იმ დღეს ძრიელ დაიგვიანა ბოტკინმა; ბოლოს შეეიტყე რომ ის თავს არიდებს ხოლმი, როცა იქ მომატებული რიცხვია სტუდენტებისა შეკრეფილი და ამის თვის ან გვიან მოდის, ან და სულ არ მოდის.

ამ რამდენიმე დღის წინეთ დამარხეს აქ პროფესორი **რ**უდნევი; ამის დასაფლავებაზე დიდი ხალხი იყო ასე, რომ ნევსკის პროსპექტი ნახევარ ვერს სიგძეზე ხალხით იყო გაჭედილი. ეუბნა მიჰქონდათ ხან სტუდენტებს (ქალებს), ხან სტუდენტებს. ბარშემო ხალხისა მისდევდა პოლიცია და ჟანდარმები. აქ ჩვენებურათ კი არარის, რომ ფულით მოიწვიონ პოლიცია ან ჟანდარმები,—თითონ მოდიან პატივს სცემენ მიცვალებულს.. ამ დასაფლავების დღეს განკარგულება იყო, რომ დეორნიკები (ასასები) თავიანთ კარების წინ უნდა დგომილიყვნენ და ვინიცობაა ვისმე მოენდომა სადმე ხალხში ან, ეზოში თავის შეფარება არუნდა გაეშოთ.

აქ შემხვდა ბასტინნი დეორში ჩვენი პედაგოგი ყმაწვილების გამწვრთნელი უ. ამირალოვი, ის ამირალოვი, რომელსაც პანსიონი ჰქონდა თფილისში. ეხლა ამას აქ ხელში არშინი უჭირავს და ფარჩის გაზომაში ისე ყოჩაღათ აცურებს, როგორც შულერი სათამაშო ქაღალდს. პანსიონის მაგივრად დიდი მაღაზია აქვს, მოსწავლეების მაგივრად მყიდველები და მასწავლებლის მაგივრათ კი პრიკაშჩიკები. თავს აქაც ისე უკრავს ყველას, როგორც მანდ ყველა გიმნაზიის სტოროჟს.

ჩვენი მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა აქ ერთმანერთში ძრიელ კარგათ და მეგობრულად არიან დაკავშირებული. რომელ სასწავლებლის მოსწავლეც უნდა იყოს, არ არის გარჩევა, როგორც რუსის სტუდენტებში. ესენი ამ ჟამად ერთათ ზრუნავენ ჩვენი ცენისთვის, თარგმნიან მოლლიერის „ძუნწს“ პირ-და-პირ ფრანცუზულიდგან; სათაური ექნება „ძრიქანგი“. პირველ მოქმედების წაკითხვაზე და ენის გასწორებაზე მეც დავესწარ, საკურველად კარგათ არის-ნათარგმნი. მოლლიერის ცხოველი სიმახვილე ისე არის თარგმანში შეკავებული თითქო ფრანცუზულ ენაზე კითხულობო. ამას რომ გაათავებენ, სხვა და სხვა პიესებ და საკითხავ წიგნებს დაუწყობენ თარგმნას. ღმერთმა ქნას, ესენი ამ გზას ბეჯითად მისდევდნენ..

საკვირველი ახირებული ზამთარია წელს ამ პეტერბურღში. ამ ორი კვირის წინეთ ათ გრადუსამდის სიცივე იყო, მერმე ერთბაშათ დაეცა ოთხ გრადუს სითბომდის და წვიმაც იყო; ეხლა კიდენ ხან ათი, ხან ხუთმეტი გრადუსი სიცივეა; მაგრამ ეს არი კარგი, რომ კაცი არა ჰგრძნობს სიცივეს, ისეთი დინჯი ჰაერი არის.

აქ უქმე დღეებს სხვა სახე აძევს, მინემც ჩვენში. უქმის წინა დღით ბევრის სახეზე წაიკითხავ, რომ რაღაც კარგს მოელიან, ყველანი დარბიან გაცხარებულნი, ყველას სუფთა შეხედულობა აქვსთ, მაგრამ გული კი მოუთმენლობისგან აღელვებული. აკერ ეღირსათ უქმეც გათენდა შობის დღესასწაულიც. რას ნახამ, განა ჩვენსავით გულ-მხიარულ და სახე-ბრწყინვალესა? სრულებითაც არა. ბაუთენებლივ იმოდელი ოტკა უსვიათ, რომ სახე აბუებული, თვალები ჩამკვდარი, ცხვირი ჩალურჯებული მიბოდ-მობოდვით მიეთრევიან, მინამ ფეხები მისდევს. აგერ ნევსკიზე მიდიან ცოლ-ქმარნი; ქმარი თითქმის ღენერალი (სტატსკი სოვეტნიკი) ცოლი ქმარს ეხეთქება, ქმარი ცოლს. ცოლს სახეზედაც ატყვია ქმრის თავაზი: მეტის ალერსისაგან თვალებ ქვეშ ჩასისხლიანებია და ლოყა ნიკაბიც კი გაუკაწრამს. ამ გვარია აქ უქმე დღე ხოლმე.

ეხლა აქაც გაჩნდა მასკარადები, კოსტიუმები, ბალები, ბალ-მასკები, ბალ-ბალ-ბალ-

ტუმიანი საღამოები და სხვა. სწორედ კარგი სანახავია ეს საღამოები; ხალხი სხვა-და-სხვა გვარი ათასნაირი ტანისამოსით მორთულია; ზოგი წარმოადგენს მზეს, ზოგი მთვარეს, ზოგი ვარსკვლავიან ზეცას, ზოგი ანგელოზს, ზოგი ეშმაკს, ზოგი პარახოდს ზოგი ფეჩს და სხვა ამ გვარს. ამას წინეთ ერთ კოსტუმიან საღამოსთვის ერთმა ვ-ღამაც კარდონისაგან გააკეთა ფეჩი; თითონ გატიტვლდა და ზედ ჩამოიცო ტანზე; თავის მეტი არა უჩანდა-რა; თავზედაც ეხურა ტრუბასავით ქუდი; კარები ამ ფეჩს ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც ნამდვილს; ვინც ძრიელ ცნობის-მოყვარე იყო (მეტად ქალები), გააღებდნენ კარებს და იცქირებოდნენ, მაგრამ შენ მტერს რასაც ისინი ხედავდნენ: ერთმანერთ ვეღარ ეუბნებოდნენ რა ნახეს და რა არა.

ამ ორი წლის წინედ მომხდარა აქ ერთი სასაცილო ამბავი კიდენ ამ დროს:

ერთ ვილაც მაზურიკს ჩაუცვამს ეშმაკის მზგავსი ტანისამოსი, გაუკედებია კუდი, სახე შეულებამს წითლათ, თავი შეუმკია წითელი თმებით, ზედ რქები გაუკეთებია, ერთი სიტყვით დამგზავსებია სწორეთ იმ გვარ ეშმაკს, როგორსაც ნახატები წარმოადგენენ ხოლმე. ეს ეშმაკი თურმე სამი კვირა დადიოდა პეტერბურგში სახლ-და-სახლს, პოლიცია დასდევდა და ვერ იჭერდა. ყველა ცრუმორწმუნე დარწმუნდა, რომ ეს სწორედ ეშმაკი იყო; თუ ეშმაკი არ იყოსო, ტრეპოვის პოლიცია როგორ ვერ დაიჭერსო! ამ გაეშმაკებულმა კაცმა ამით ძრიელ ისარგებლა და სადაც შევიდა, ყველგან ფულები დასტყვილა; შეტად საწყალი ებერუხანები დაიწვნენ ამ ეშმაკისაგან, ფულებს კი არა ვერცხლეულსაც თურმე აძლევდნენ, რომ მოშორებოდა.

სტ. მ—ლი

განცხადებანი

კვირას, 4 თებერვალს, თბილისის ქრუშჩოკში იქნება

ბალი

იმ შეკოლის სასარგებლოდ, რომელსაც ხნის „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შეიმწყობისათვის.

შესასვლელი ფასი ქალებისა და კაცებისათვის 2 მანეთი.

ბალი დაიწყობა სალამოს 9 საათზე.

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურულ კაბებით შევიდნენ.

ვისაც ჰსურს წინათვე აიღოს შესასვლელი ბილეთი, შეუძლიან მიმართოს კნ. ბ. ბ. ბარათაშვილისას, კნ. ბ. მ. ანდრონიკაშვილსას და აგრეთვე „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტის წევრთ, ბალის დღეს კი ქრუშჩოკის ოფეიცარს.

(3—3)

გასყიდვა

ფასმოკლებელად

რადგან წვრილად ვეჭარმა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვეჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია **გასყიდვა** იაფ ფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასი, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეპეი, კაშმირი ბაი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შალი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟაში, გასტინიცის, „ძაეკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს [illegible]

კალენდარი

ფაი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ეკ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორჩში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, ვული და მაშენიკები“**—თფილისში: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბიორგი ბარათოვთან, ბორჩში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამეწინ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

უფ. ბიბო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკლესიის ქვეშით ლუქნებში. ბარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	9ბ	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა. . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოლი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბათუმს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხმი მისსალი) .	8

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 27 იანვარს.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ძრეკილა, ფუთი .	7	50
— ამერიკა, ფუთი . .	8	50
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	6	60
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	70
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	80
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	60
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გრვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, საუკეთესო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მეიდანზე, წინამძღვარიანის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოლრშაბათს: ვერმიშევი და ბალლეიჩი—შინაგ. ავათ., ძიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ძიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.